

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



რუსთავის საქალაქო სასამართლომ საიას დაცვის ქვეშ მყოფი უდანაშაულოდ სცნო

2012 წლის 5 აპრილს ქ. რუსთავის საქალაქო სასამართლომ საიას დაცვის ქვეშ მყოფი მოქალაქე ელგუჯა კავლეიშვილის საქმეზე გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა.

მოქალაქე ელგუჯა კავლეიშვილს ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის პირველ ნაწილში ედებოდა, კერძოდ, ყალბი დოკუმენტების გამოყენებაში, რომელიც ჯარიმას ან 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ელგუჯა კავლეიშვილი პროფესიით მძღოლია. პატრულის თანამშრომელს მისი მართვის მონუმობის შემონუმებისას გაუჩნდა ეჭვი, რომ მონუმობა ყალბი იყო, რადგან საპატრულო

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



პოლიციის ერთიან ბაზაში კავლელიშვილის მართვის მონაწილეობა არ აღმოჩნდა რეგისტრირებული. ყოველივე ეს გახდა გამოძიების დაწყების საფუძველი.

გამოძიებისას აღმოჩნდა, რომ 1994 წელს გაცემული მართვის მონაწილეობის მონაცემები მომსახურების სააგენტოში არსებულ მონაცემებს არ შეესაბამებოდა. სახელმწიფო ბრალმძებლის მტკიცებით, ელგუჯა კავლელიშვილმა გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში დაუდგენელი პირისაგან შეიძინა „BCD“ კატეგორიის მართვის მონაწილეობა, რომელიც მან 2011 წლის 15 დეკემბერს გარდაბნის რაიონში, ფონიჭალა-მარნეული-გეგუთის საავტომობილო გზის მე-13 კმ/ზე, შემონაწილეობისას პატრულ ინსპექტორს წარუდგინა.

ბრალდებული კავლელიშვილის ინტერესებს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ადვოკატი იცავდა. დაცვის მხარემ წარადგინა მტკიცებულებები, რომლებიც უტყუარად ადასტურებდა მოქალაქე ელგუჯა კავლელიშვილის უდანაშაულობას, რის შედეგადაც რუსთავის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ აღნიშნულ საქმეზე გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა და მოქალაქე კავლელიშვილი წაყენებულ ბრალდებაში უდანაშაულოდ ცნო.